საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 3321/01
01/04/2019

3321-01-2-201904011459

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს

ბატონ დავით ქუტიძეს

ბატონო დავით

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მიმდინარე წლის 26 მარტს შემოსული თქვენი #68 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თითოეული სტაციონარული წყაროდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შესახებ ინფორმაცია ყოველწლიურად გროვდება. თუმცა, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სხვა წყაროებიდან (ტრანსპორტის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ნარჩენების სექტორები, შინამეურნეობები და ა.შ.) გაფრქვევების აღრიცხვა ხდება მხოლოდ ეროვნულ დონეზე. დიდწილად, ამას განაპირობებს საწყისი სტატისტიკური ინფორმაციის მხოლოდ ეროვნულ დონეზე არსებობა. შესაბამისად, მოთხოვნილი ქალაქებისთვის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში სტაციონარული წყაროებიდან დაბინძურების წილის დადგენა ცალკე კვლევის საგანია.

დამატებით გაცნობებთ, რომ 2016 და 2017 წლებისთვის თითოეული სტაციონარული წყაროდან გაფრქვევების შესახებ ინფორმაცია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ღიად ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: http://map.emoe.gov.ge/.

პატივისცემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013